# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

12 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№43 (9305)
ფასი 40 თეთრი


## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2023 წლის 22 სექტემბერს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა „სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №95 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შეიტანეს ბაკურიანში და სოფელ რველში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არსებულ სახელწოდებებში. მოიწონეს ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტისათვის (სკვერი) სახელწოდების მინიჭების შესახებ.

მოისმინეს „ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ დირექტორის **გაიოზ დვალიშვილის** და ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკის დირექტორის **ლევან გელაშვილის** ანგარიში „2023 წლის ზაფხულის სეზონზე გაწეული მუშაობის შესახებ“, სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დირექტორის **დ. მუმლაძის** ანგარიში „2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“;

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის IV კვარტალის სამუშაო გეგმა.

## „ონავრები“ გრან-პრის მფლობელი გახდა



**ბორჯომის** შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ვოკალური ანსამბლი „ონავრები“ გრან-პრის მფლობელი გახდა, ხოლო თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფმა „სილუეტმა“ მეორე ადგილი დაიკავა.

ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ ნესებრში, საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდულ ფესტივალ-კონკურსში, 10 ქვეყნის 26 ანსამბლი მონაწილეობდა.

ფესტივალ-კონკურსში ანსამბლმა „ონავრებმა სხვადასხვა მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს მაყურებელს დაუვიწყარი სანახაობა აჩუქს და მთავარი პრიზიც მოიპოვეს. ხოლო ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ ვარნაში კონკურსზე „სლავური გვირგვინი თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფმა

„სილუეტმა“ 65 მონაწილეს შორის მეორე ადგილი დაიკავა. ჯგუფ „სილუეტის ხელმძღვანელები გოგი და ხატია ხიდირბეგიშვილი დაჯილდოვდნენ მოზარდებისთვის ფასდაუდებელი წვლილისთვის ხელოვნებისა და მომავალი თაობების განვითარების საქმეში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელმა **შალვა გოგოლაძემ** ანსამბლებს და ხელმძღვანელებს მიღწევები პირადად მიულოცეს და მადლიერების სიგელი გადასცეს. სამომავლოდ წარმატებები უსურვეს და მხარდაჭერის პირობა აღუთქვეს.

## დამსახურებული აღიარება



**ბათუმმა** ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილ World Travel Awards-ზე საიუბილეო ევროპის გალა ცერემონიალს წელს პირველად უმასპინძლა, რომელიც შესანიშნავი ქართული შოუ-პროგრამით გაიხსნა, რომელშიც ქართული კულტურა, ხელოვნება, ტრადიციები, ისტორია და სტუმართ-მასპინძლობა იყო წარმოდგენილი.

საიუბილეო ევროპის გალა ცერემონიალს 24 ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიის, მედიისა და ტურიზმის სამთავრობო უწყების 300-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა.

საქართველოს მასშტაბით დასახელდა 15 ნომინაცია და გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

ნომინაციაში - საქართველოს წამყვანი კურორტი - 2023 გამარჯვებული გამოვლინდა Growne Plaza Borjomi.

ჩვენთვის საამაყო მომენტია! „ქრაუნ პლაზა ბორჯომმა“ მოიპოვა საქართველოს 2023 წლის წამყვანი კურორტის სტატუსი. უდიდეს მადლობას ვუხდით ჩვენს გასაოცარ გუნდს, რომლის თავდაუზოგავი შრომით შევძელით ამ მიღწევის რეალურად ქცევა. მადლობა თქვენ, რომ გვირჩევთ თქვენი განსაკუთრებული მოგონებების შესაქმნელად“, ნათქვამია „ქრაუნ პლაზა ბორჯომის“ განცხადებაში.

## სოციალური დახმარებები გრძელდება

**ბორჯომის მუნიციპალიტეტმა, სოციალური პროგრამების ფარგლებში, სექტემბერში 188 9136 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 780 ბენეფიციარს გაუწია.**

**63 985 ლარი, 109 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 64 ბენეფიციარი 7 650 ლარით დაფინანსდა.**

- **ონკოლოგიური დაავადებების მქონე 32 პაციენტი 28 785 ლარით დაფინანსდა.**
- **106 მრავალშვილიანი ოჯახი 25 550 ლარით დაფინანსდა.**
- **სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.**
- **ბორჯომის მუნიციპალიტეტში 24-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება.**
- **პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა.**

## იზარდე სკოლის დოლარო, არ გახდე ფუყე ლარიო!..

### რა ღირს სწავლა თბილისის ყველაზე ძვირადღირებულ სკოლებში?!

**საქართველოში არჩევანი საჯარო და კერძო სკოლებს შორის საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება კერძო სკოლაში ბავშვის მიყვანა.** სკოლის დაწყების მოახლოებასთან ერთად აქტუალური ხდება სწავლის საფასური, რომელიც როგორც აღმოჩნდა წელიწადში 27.500 დოლარამდეც ანუ დაახლოებით 75 000 ლარამდეც კი ადის.

**„კომერსანტი“ შეეცადა გაერკვია, რომელია თბილისში ყველაზე ძვირად ღირებული კერძო სკოლა:**

QSI – **საერთაშორისო სკოლა** – წლიური გადასახადი 27 500 დოლარი;

**გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია** – 15 000 ლარიდან 26 500 ლარამდე,

**ევროპული სკოლა** - წლიური გადასახადი ქართულ პროგრამაზე - 5000 ევრო; საერთაშორისო პროგრამაზე - 9000 ევროდან 11000 ევრომდე; ბრიტანულ-ქართული აკადემია - წლიური გადასახადი ქართულ პროგრამაზე 6000 დოლარიდან, ბრიტანულ პროგრამაზე 8000 დოლარიდან.

**ახალი სკოლა** - წლიური გადასახადი ქართულ პროგრამაზე - 3150 ევრო, ინგლისურენოვან პროგრამაზე 8200 ევრო;

**სკოლა ლოგოსი** - წლიური გადასახადი 3100 დოლარიდან 5200 დოლარამდე;

**წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა** - წლიური გადასახადი 4000 დოლარიდან;

UG Scool - **იუჯი სკოლა** - წლიური გადასახადი 11000 ლარი;

**ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა** - წლიური გადასახადი 10 800 ლარი;

**ნიუტონის თავისუფალი სკოლა** – წლიური გადასახადი; ქართული პროგრამა - 9000 ლარი, I პროგრამა - 4000 ევროდან 5500 ევრომდე.

**2022-2023 სასწავლო წლისთვის საქართველოში არსებული 2 308 სკოლიდან 216 კერძოა. „თიბისი კაპიტალის“ კვლევის მიხედვით, 2022-2023 წლებში კერძო სკოლების საშუალო ღირებულებამ 6,500 ლარი შეადგინა, მომდევნო წელს კი კერძო სკოლების საშუალო ფასის 5-10%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.**

## რეაბილიტირებულია ლიკანის სკოლის ფასადი



ბორჯომში, სოფელ ლიკანის საჯარო სკოლის ფასადის რეაბილიტაცია დასრულდა. ლიკანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ცენტრალური ბიუჯეტიდან 88 332 ლარით დაფინანსდა.

### ისევ პრობლემების კვალდაკვალ

## როცა გაკეთების ნაცვლად აფუჭებენ

**მერამდენედ** შეიძლება რომ არასათანადოდ და რაც მთავარია, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შესახებ დავწეროთ, უკვე აღარ ვიცით. ალბათ, სათვალავი აგვერია, მაგრამ „უთქმელობაც არ იქნების“. როგორც ვიცით, უკვე წლებია განსჯის საგანს წარმოადგენდა დვირი-ჭობისხევი ქვაბისხევი-ჩითახევის გაზიფიცირების პრობლემა, თუმცა საკითხი სასიკეთოდ გადაწყდა და აგერ უკვე რამდენიმე კვირაა სამუშაოები აქტიურ ფაზაშია შესული. საკმაოდ დიდი სამუშაოების მონაკვეთი შესრულებულია, თუმცა საქმეს ისე რომ არ აკეთებენ, რაღაც არ გააფუჭონ, არც აღარ გვიკვირს. გასულ კვირას, ლიკანში ე.წ. პურკომბინატის ბინებთან გაზის სისტემის გაყვანის სამუშაოების მიმდინარეობისას, საღამოს საათებში მოსახლეობამ შენიშნა, რომ კანალიზაციის მილი დააზიანეს. როგორც ჩანს და უკვე გამთენიისას კანალიცაზია მთელ ცენტრალურ ტრასაზე მოედინებოდა. ისევ მოსახლეობას მოუწია კომპეტენტური პირის მოძებნა და საყვედურის თქმა იმის გამო, რომ გაკეთებული გაზის მილების სანაცვლოდ მათმა კომპანიამ კანალიზაციის მილი დააზიანა და მოსახლეობა ითხოვდა დაზიანებული მილის აღდგენას. რამდენიმე საათის შემდეგ როგორც ჩანს, მოსახლეობის თხოვნა გაითვალისწინეს და პრობლემა აღმოიფხვრა, მაგრამ საინტერესოა, რატომ ხდება ისე, რომ როდესაც ერთს აკეთებენ, რატომ არ აქვთ კომპანიებს შესაბამისი სქემები, რის მიხედვითაც ისარგებლებენ და დეტალურად იქნება მათთვის ცნობილი ახლომდებარე მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების სქემები, რომლის დაზიანებამაც შეიძლება დიდი ზარალი მიაყენოის მოსახლეობას? აღნიშნულ ტერიტორიის სიახლოვეს მიმდინარე სამუშაოებზეც მინდა გავამახვილო ყურადღება, რომელიც სოფელ ლიკნამდე მდებარე სახიფათო მოსახვევამდე მიმდინარეობს და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სახის ლენტებით შემოსაზღვრულია ტერიტორია და ჩანს კიდეც ტერიტორიაზე რომ სამუშაოები მიმდინარეობს, სამწუხაროდ, ბორჯომის მხრიდან მომავლი მანქანების მძღოლები ვერ ხედავენ ახალციხიდან მომავალ მანქანებს. სწორედ ამის მაგალითია რამდენიმე დღის წინ ქალაქიდან მომავალი ტრაილერი რომ კინაღამ დაეჯახა საპირისპიროდ მოძრავ მსუბუქ ავტომობილს. მადლობა ღმერთს, რომ მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა ივაჟკაცა. ქალაქის ცენტრში წამოხვალ კიდევ და მუნიციპალიტეტის შენობის წინ ახალი სანიაღვრეები კეთდება. იმედი ვიქონიოთ, ხარისხიანად შეასრულებენ სამუშაოებს და თავსხმა წვიმების დროს ისევ დატბორილ ტერიტორიებს არ მივიღებთ, რომლის მაგალითიც ბევრჯერ გვქონია „ავერსის“ აფთიაქის მიმდებარედ, იქვე ახლომდებარე მაღაზიებიც რომ დატბორა.

**ნატო მელიქიძე**

სადღეისო თემაზე

# როდის დავძლევთ სიღარიბეს და უმუშევრობას?!

**საქართველოს ცნობილი ეკონომისტები და ფინანსისტები ერთხმად აცხადებენ, რომ ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით 21,3 პროცენტიდან 15 პროცენტამდე შემცირდა. „საქსტატი“ აქვეყნებს ცხოვრების დონის მაჩვენებლებს, სადაც გამოკვეთილია სიღარიბის მაჩვენებლებიც, რომელიც გამოთვლილია მოსახლეობის შემოსავლების საფუძველზე.**

**დღეს სიღარიბედ ითვლება, თუ ადამიანი ყოველდღიურად 2,5 აშშ დოლარზე ნაკლებს ხარჯავს, ხოლო უკიდურეს სიღარიბედ ითვლება პიროვნება, რომელიც დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლებს ხარჯავს.**

**ისმის კითხვა, რატომ ვერ გრძნობს მოსახლეობა მდგომარეობის გაუმჯობესებას?**

ცნობილი ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი **სოსო არჩვაძე** აცხადებს - სიღარიბეს აქვს რამდენიმენაირი ასპექტი, **სტატისტიკური,** რომელსაც ეყრდნობა ცენტრალური ხელისუფლება, პირობითად თუ ვიტყვით, რომ საშუალოდ შემოსავალი 100 ლარია, ვისაც 100 ლარზე ნაკლები აქვს, ღარიბია, ხოლო ვისაც 101 ლარი აქვს, ის ღარიბად არ ჩაითვლება. ეს არის წმინდა სტატისტიკური გათვლა.



**მეორეა სუბიექტური მიდგომა,** ანუ ადამიანი როგორ აღიქვამს საკუთარ მდგომარეობას, თუ ის თვლის, რომ არ ყოფნის შემოსავალი კვებისათვის, (საბინაო პირობები და გარემო), შესაძლოა, ეს დისკომფორტიც სიღარიბის სუბიექტურ აღქმაში შევიდეს.

**მესამე კი წმინდა სოციალურია,** ანუ რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანი, თუ პიროვნება მდგრადი განვითარების რეჟიმშია, მაშინ პედაგოგი, იურისტი, ლექტორი, ექიმი, ადვოკატი და ასე შემდეგ შეიძლება ეს კატეგორია შეყვანილ იქნას საშუალო ფენაში. მიუხედავად ამისა, თუ როგორია მისი შემოსავალი. (ასეთი გამონაკლისები ეხება მშვიდ და განვითარებულ ქვეყნებს და ამ კატეგორიას საქართველოს ვერ მივაკუთვნებთ).

ე.წ. რევოლუციური ქარტეხილები, ომები და ქვეყნის არასტაბილური განვითარება ვერ დავძლიეთ, ამიტომაცაა, რომ ქვეყანა სტაბილურად ვერ ვითარდება. ალბათ, ხედავთ ტელევიზორში, ან კითხულობთ გაზეთებს და ფიქრობთ, ასეთი რადიკალური ოპოზიციის პირობებში ან როგორ უდგას სული ჩვენს ქვეყანას.

განვლილი 10-12 წლის მანძილზე, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ქვეყნის სათავეში, ეკონომიკური წინსვლა ნამდვილად იგრძნობა და ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ამ სიკეთეს ვერ გრძნობდეს. წლიდან-წლამდე იზრდება შემოსავლები, მარტო მიმდინარე წელს ქვეყნის ბიუჯეტი 500 მილიონით გაიზარდა და მომავალ წლის ბიუჯეტი 27 მილიარდი ლარი იქნება. იზრდება სოციალური დახმარებები, პენსიები, შეღავათები გაეწიათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, რომლებიც ვერ იხდიდნენ სწავლის გადასახადს და ა.შ. მარტო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაგალითიც კმარა საილუსტრაციოდ, თუ რა კეთდება მოსახლეობის სოციალური დახმარებისათვის, მუნიციპალიტეტში მოქმედებს 25-მდე სოციალური პროგრამა, რითაც ფინანსდებიან სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები (მრავალშვილიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველები, შშმ პირები და ა.შ.). გასულ წელს ორ მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯა მოქალაქეთა მედიკამენტების შესაძენად და გადაუდებელი ოპერაციებისათვის. მგზავრთა გადაადგილებისათვის მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული ღირებულების დასაფინანსებლად თითქმის ერთი მილიონზე მეტი ლარი იხარჯება, უპოვართა სასადილოში 250-300 ადამიანი უფასოდ იკვებება, მუსიკალურ სასწავლებელში, სპორტსკოლაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, კულტურის ცენტრში სწავლა უფასოა. მოსახლეობის კეთილდღეობისათვის მოეწყო არაერთი სკვერი, სპორტული მოედანი, გარემონტდა მაღალსართულიანი სახლების სახურავები, ფასადები და ა.შ. ეს ყველაფერი ჩვენი საზოგადოების სოციალურ განვითარებას ხმარდება და ადამიანი ბრმა უნდა იყოს, ამ სიკეთეს ვერ ხედავდეს.

**ვიცი, მკითხველი დასვამს კითხვას, სად არის გამოსავალი? როდის დავეწევით ევროპას და სხვა განვითარებულ ქვეყნებს?**

გამოსავალი, რა თქმა უნდა, არის და მეტად მრავალწახნაგოვანია, პირველ რიგში ბიზნესსექტორმა უნდა გამოავლინოს მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარული. ფული დააბანდონ საქართველოში, დაასაქმონ რაც შეიძლება ბევრი ადამიანი. ბორჯომში უმუშევარი არ გვეყოლება მაშინ, ვინც იყიდა ის ობიექტები (წინა წერილში ჩამოვთვალე), სანახევროდ მაინც რომ აამოქმედონ. საზოგადოების წევრებმა, ოჯახებმა ფეხი უნდა აუწყონ ახალი ტექნოლოგიების, ახალი პროგრესული მეთოდების ათვისებას, ის ტექნოლოგიები და მიმართულებები, რომლებიც 30 წლის წინათ იყო დანერგილი საბჭოთა კავშირში, დღეს აღარავის ესაჭიროება. კარგად ვხედავთ, საქართველოდან ემიგრანტთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მარტო გასულ წელს ემიგრაციაში 100 ათასი ადამიანი წავიდა, სამწუხაროდ, ცარიელი ადგილი საქართველოში არ დარჩენილა, 54,5 ათასი კაცით მეტი შემოვიდა, რაც რუსეთ-უკრაინის ომმა გამოიწვია. მათ დაიკავეს აქედან წასულთა ადგილი. თუ ასე გაგრძელდება, მაშინ საქართველოში ქართველი აღარ დარჩება და საქართველო ქართველების გარეშე ვერ იარსებებს და ალბათ, სახელსაც გადაარქმევენ. ეს კი ერის ყველაზე დიდი უბედურება იქნება.

ალბათ იკითხავთ, აქედან წასულები სად, რომელ სახელმწიფოებში დასაქმდნენ. ახალი ტექნოლოგიების მცოდნე ადამიანები მათ რიგებში თითქმის არავინაა. რომ იცოდეთ, ევროპის ქვეყნებს ყოველწლიურად 135 მილიონი დაბალი დონის მომსახურე პერსონალი ესაჭიროება. ისინი დასაქმდნენ მოხუცების მომვლელებად, მიმტანებად, ჭურჭლის მრეცხავებად, მეეზოვეებად და ა.შ. ბევრი დაუსაქმებელია. იმ სამუშაოებზე, რაზეც დღეს ისინი იქ მუშაობენ, მშობლიურ კუთხეში არ იმუშავებდნენ, დამამცირებელ სამსახურად ჩათვლიდნენ.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ქართველები სამშობლოს მოყვარული ხალხია და ვერ ძლებენ სხვა ქვეყნებში, მაგრამ 90-იანი წლების პირველ ნახევარში, როგორც კი გაუარესდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და **ამასთან ჩამოიშალა რკინის ფარდა, 1999 წელს საქართველო დატოვა მილიონამდე ადამიანმა, ასეთი ფაქტი საქართველოს არ ახსოვს...**

დღეს ხშირად გაიგონებთ, ემიგრაციაში დროებით არიან წასულები, დაეუფლებიან ახალ ტექნოლოგიებს და მალე დაბრუნდებიანო, ემიგრანტთა ტალღა დღითიდღე იზრდება. მარტო ჩემი უბნიდან, ახალშენიდან აგერ 32 წელია 60-ზე მეტი ბინა ბოქლომდადებულია და უკან დაბრუნებული ვერავინ ვნახე, რამდენიმე ორიოდე დღით ჩამოვიდა და ისევ უკან გაბრუნდა.

სამწუხაროდ, ემიგრაციაში წამსვლელებს ვერ გაამტყუნებ, ზოგი სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემების გადასაწყვეტამ, ზოგი სწავლის გასაგრძელებლად, ზოგი კიდევ საძრახისი საქმიანობისათვის წავიდა (ამ ბოლო თემაზე წერილს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

**სამაგიეროდ, დღეს ბორჯომის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, თითქმის ყველა სფეროში მუშახელის დეფიციტია. ბევრი ვერ იღებს შესრულებული სამუშაოსათვის კუთვნილ ხელფასს, ამიტომ იძულებულია სამუშაო სხვაგან ეძებოს ან საერთოდ წავიდეს ქვეყნიდან. საკურორტო ქალაქში სანთლით საძებნი გახდა კვალიფიციური მზარეული, კონდიტერი, მიმტანი, მეტროდოტელი, ბუღალტერი, კომპიუტერის ოპერატორი, მეეზოვე, მებაღე, კანალიზატორი, მაღაზიის გამყიდველი, უბრალო მესაათე, ფეხსაცმლის შემკეთებელი, მომპირკეთებელი, აგურის და ბლოკის დამწყობი და ა.შ. ამას წინათ ახლობელმა შემომჩივლა, მლესავი დამჭირდა სახლში რემონტისათვის და კვადრატული მეტრის გალესვაში 40 ლარი მომთხოვესო. აგერ ბორჯომში მობილურის შემკეთებელი, ზურაბ ბლიაძე, კიდევ კარგი, რომ სურამიდან დადის, ავტოსარემონტო სახელოსნო დღემდე არაა ბორჯომში და კერძო მანქანების მეპატრონეები ხაშურში ან ახალციხეში მიდიან მანქანების პროფილაქტიკისათვის.**

ერთი შეხედვით, ამ მეტად საჭირო და სავალდებულო სამუშაოების კვალიფიციური შემსრულებელი ბორჯომში რომ არ გვყავს, ამის თაობაზე ყველა საუბრობს, არადა, იყო დრო, როცა ბორჯომის პროფსასწავლებელში აღზრდილი კადრები მთელ საქართველოში იყო ცნობილი, ასევე უნდა ვთქვათ, სატყეო ტექნიკუმის და სამედიცინო სასწავლებლის შესახებ. დღეს სანთლით ეძებენ მეტყევე-რეინჯერებს და კვალიფიციურ მედდებს... როგორც ვხედავთ, მეტად მოუმზადებლად დაიშალა ყოფილი სსრ კავშირი და დღემდე ვერ გადაეწყო კაპიტალისტურ რელსებზე, ამიტომაც ჩქარობს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ევროკავშირში შესვლისათვის, მაგრამ ვაი, რომ ამ მეტად საპასუხისმგებლო პროგრამის შესრულებაშიც სერიოზული ხელის შემშლელად რადიკალური ოპოზიცია მოგვევლინა.

შეძლებს თუ არა ჩვენი ბედკრული ქვეყანა გაუძლოს გლობალური ეკონომიკის ზეწოლას? უნდა გავუძლოთ, ხელები დავიკაპიწოთ და ადგილობრივი რესურსების ათვისებით, ახალი ტექნოლოგიებით, საერთაშორისო ბიზნესწრეებთან კოორდინირებული მუშაობით შევძლოთ ადგილობრივი მუშა-ხელის ადგილზე დასაქმება, რათა შევძლოთ მეტი დამატებითი ღირებულების პროდუქციის წარმოება და დავიმკვიდროთ კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკაში, მაშინ შევძლებთ ქვეყნის ფეხზე დაყენებას და მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას.

დიდი სურვილი გვაქვს მეც და თქვენც, რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ ემიგრანტები, ვინძლო უცხოეთში შეძენილი ცოდნა ჩვენც გაგვიზიარონ და თვითონაც ახლებურად იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ, მაშინ სიღარიბესაც დავძლევთ და დასაქმების პრობლემაც გადაწყდება.

**დასასრული. დასაწ. იხ. გაზ. „ბორჯომი“ №41, 2023წ.**

# „პატარა მატარებელს“ დიდი ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროება

**ბორჯომ-ბაკურიანის** ვიწროლიანდაგიანი რკინიგზას 121 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ამ რკინიგზამ ნამდვილად გაუძლო ათწლეულების მანძილზე ცარიზმის და კომუნისტური საზოგადოების ბიუროკრატიულ მართვის ავტორიტარული რეჟიმის უმკაცრეს ქარტეხილებს და უდიდესი როლი შეასრულა ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონის ქვეყნის განვითარებაში. ეს უნიკალური რკინიგზა განსაკუთრებით საყვარელი იყო და არის ჩვენი მოზარდი და თაობისათვის ხომ გახსოვთ შესანიშნავი პოეტის მაყვალა მრევლიშვილის შესანიშნავი ლექსი კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მუსიკის ჰანგებზე შექმნილი სიმღერა:

**„ჩემო პატარა გუგულო, პატარა მატარებელო,**
**მთელი ბორჯომის ხეობის გულის გამხარებელო,**
**ხმა გაქვს ისეთი მჭექარე, ისეთი ომახიანი,**
**ცემში რომ გუგუს დასძახებ, ხმას გაძლევს ბაკურიანი“**

ვინ მოთვლის, რამდენი თაობა გაიზარდა ამ სიმღერის ჰანგებზე, რამდენი ათასი მოზარდი დაატკბო ბორჯომ-ბაკურიანის მომხიბვლელმა უნიკალურმა ბუნებამ, რამდენი ქართველი და უცხოელი ტურისტი დარჩა გაოცებულ-გაოგნებული ულრან ტყეში გაყვანილი რკინიგზის სილამაზით.

სხვათაშორის, არც მეფის რუსეთის და არც კომუნისტების მმართველობის პერიოდში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა პატარა მატარებლის მოძრაობა, დღეში ორჯერ ქშენა-ქშენით მიუყვებოდა აღმართ-დაღმართიან დაგრეხილ გზას და ახარებდა მგზავრებს.

**ახლა, როგორ არის „პატარა მატარებლის“ რკინიგზა, რა წვლილი შეაქვს თავისუფალი ქვეყნის მშენებლობაში?**

მოკლედ ვიტყვი, არავითარი! ერთ დროს ანდეზიტის წარმოების პროდუქცია, რომელიც ათასობით ტონობით მოიპოვებოდა და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ბორჯომამდე ჩამოქონდათ მერე ათობით საზღვარგარეთის ქვეყანაში გაქონდათ, ქიმიურ მრეწველობაში ნედლეულის სახით დღეს საწარმო მთლიანად გაპარტახებულია და ამ ნედლეულის მოთხოვნილებაზე საუბარი ზედმეტია. საკოჭავიდან ანდეზიტის საწარმომდე 5 კილომეტრიანი რკინიგზის ლიანდაგების დიდი ნაწილი მოიპარეს და დამნაშავეები დღემდე თავისუფლად დადიან.

მწყობრიდან გამოვიდა თვით რკინიგზაც, დალპა განძელები (შპლები) როგორც დავადგინე, ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზას სრული აღდგენისათვის 62 500 განძელი ესაჭიროება. რკინიგზელები ყოველ წელს 2-2 ათას განძელს ცვლიან ბევრგან რკინიგზის ლიანდაგებიც შესაცვლელია. გაპარტახდა რკინიგზის უნიკალური სადგურები (დაბა, წაღვერი, ცემი, ტბა, ლიბანი). ამორტიზირებულია სამგზავრო ვაგონები, 60 წლის წინათ შემოყვანილი ელმავლები, რომლებიც დეპოს მუშა-მოსამსახურეთა თავგანწირული შრომის შედეგად დღესაც „სუნთქავენ“. ოთხიოდე წლის წინათ „პატარა მატარებელი“ ავად თუ კარგად კიდევ ასრულებდა თავის მოვალეობას, ახლა ელმავალს მხოლოდ ერთი ვაგონი ძლივს აყავს ბაკურიანამდე, ამ ვაგონით მხოლოდ რკინიგზის მუშები დაყავთ და არც ერთი მგზავრი ვაგონში არაა.

„პატარა მატარებელს“ ვინ ჩივის, დღეში ორი მატარებელი დადიოდა ბორჯომსა და თბილისს შორის, ახლა ერთი მატარებელი ძლივს დადის. კომუნისტების დროს მატარებლის მემანქანეებისათვის სასტუმროც იყო ბორჯომ-ბაღის სადგურში, ახლა მემანქანეები დაქრავებულ სახლებში ათევენ ღამეს.



მიზეზი „ცნობილია“, სამგზავრო მატარებლები ზარალიანი ყოფილა და მხოლოდ „ბორჯომის“ მინწყლით დატვირთული ვაგონები მოძრაობს ბორჯომსა და თბილისს შორის. ხაშურიდან ბორჯომამდე ახალდაბის სადგური და ბაქნები გაპარტახებულია, (ყვიბისის ბაქანი როგორც იქნა კეთილმოეწყო). ადრეულ წლებში ბორჯომში მგზავრთა მოსაცდელი ორი ვაგზალი იყო, ახლა აღარცერთი აღარაა.

ბორჯომ-ბაღის შესანიშნავი ვაგზალი გადაკეთდა რესტორნებად, ხოლო დედათა, ბავშვთა და მემანქანეების მოსასვენებელი ოთახები საერთოდ გაუქმდა. მეორე სართულზე ნოტარიუსი ფუნქციონირებს, გაგიკვირდებათ და აქვე ყოფილ სადგურში კომუნისტების დროინდელი მატარებლების გრაფიკის დაფა ისევ არსებობს. ამ ნაკლოვანებების თაობაზე ადრეც ვწერდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ვისაც ეხება მისი გამოსწორება, როგორც წესი, გაზეთებს აღარც ისინი კითხულობენ.

ცალკე საუბრის თემაა ისტორიული „ეიფელის ხიდი“, რომელსაც სერიოზული ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროება.

როდის გარემონტდება რკინიგზის ხაზი და შენობა-ნაგებობები, როდის განახლდება პატარა მატარებლების მოძრაობა, არავინ იცის. არადა, 2023 წლისთვის ბაკურიანში ზამთრის სპორტის სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატი ამ „პატარა“ მატარებლის გარეშე ჩატარდა. 2025 წელს კიდევ უფრო მასშტაბური ღონისძიება დაგეგმილი. დღემდე უცნობია საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი აპირებს თუ არა ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის აღდგენას.

გაზეთი „ბორჯომი“ არაერთხელ წერდა ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონაში არსებულ რკინიგზის პრობლემებზე, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გასაჭირზე, დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელებს სპეციალური წერილიც გავუგზავნეთ რკინიგზის სადგურების და ბაქნების სავალალო მდგომარეობის თაობაზე. სამწუხაროდ, პასუხიც დღემდე არავის გამოუგზავნია.

არაერთხელ გავაჟღერეთ ჩვენი ოცნებაც რკინიგზის ამ 30 კილომეტრიან უნიკალურ რკინიგზის გასწვრივ, შესაძლებელია, მოეწყოს ქართული „დისნეილენდის“ მსგავსი ბავშვთა გასართობი ატრაქციონები და რკინიგზა გამოყენებული იქნას ბავშვთა დასვენების და გართობის ზონად, მაგრამ ჯერჯერობით „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“

იმედს ვიტოვებთ, ვინძლო, 2025 წლის მსოფლიო ახალგაზრდული ფესტივალისათვის მიხედავენ ამ უნიკალურ რკინიგზასაც!

**რაც შეეხება მოარულ ხმებს „ბორჯომ-ბაკურიანის“ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაუქმებას თუ გაყიდვას, ამაზე საუბარი „ყურით მოთრეული“ ჭორია. როგორც ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ქალბატონმა *ეკა ორჯონიკიძემ* გვითხრა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი* საქმის კურსში ჩაუყენებია და პირობაც მიუღია რკინიგზის აღსადგენად, ხოლო ჩარხისწყალზე უპატრონოდ მიტოვებული პატარა ორთქმავალი, რომელიც „გარედან მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნიდან მოყვარეს“, როგორც შევიტყვეთ, ქალბატონ ეკას გადაწყვეტილი აქვს ორთქნავალი ბაკურიანში აიტანოს და ისე მოუაროს როგორც ამ „ღვაწლმოსილ“ ორთქმავალს ეკადრება.**

**საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს სპონსორებს, რომლებიც ითავებენ ამ უნიკალური რკინიგზის სრულ რეაბილიტაციას, ვინძლო გამოჩნდეს ვინმე ღვთისნიერი, რომელიც საქართველოს მომავალს შეუნარჩუნებს პატარა მატარებელს.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ბორჯომი“ №40,42, 2023წ.**

**გვერდის მასალები მოამზადა ვალერიან ლომიძემ.**

## დროა მივხედოთ ადგილობრივ საკურორტო ადგილებს!

# ავამოქმედოთ არსებული მდიდარი რეზერვები

**„საქართველოს** ცნობილი სპეციალისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი იოსებ არჩვაძე პრესაში ხშირად აღნიშნავს, რომ სასმელი წყლის ექსპორტი ნავთობზე მომგებიანია, ბორჯომის ხეობაში წყაროს წყლები უამრავია და ერთიმეორეზე მარგებელი და სასიამოვნო დასალევია. ამიტომაცაა, რომ მინერალური წყლების ქარხანაში „ბაკურიანის“-ის სასმელი წყლის ჩამოსხმა წარმოებს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. ახალდაბაშიც მთის ფერდობებიდან ნაკადულები გადმოდის, ხოლო ვაკე-რელიეფიდან ჩაღრმავებული და მთაგრეხილების სიღრმეებში არსებული გრუნტის წყლებით გაკვალული ხვრელებით მდინარე მტკვარში ჩაედინებიან. ასევე მდინარე ნეძურას ხეობაშიც მთების ტყით დაფარულ ფერდობებზე მჟავე წყლებად წოდებული ბორჯომის ტიპის მინერალური წყლების წყაროებიცაა. **ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში სასურველია წყაროს წყლების პოტენციალის გამოყენება იყოს გათვალისწინებული.**



ახალდაბაში სასმელი წყლის რეზერვებია. მათი თვისებების მიზნით სასურველია საწარმოს დაპროექტება და მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი და ახლომდებარე დაწესებულებებში მაცხოვრებელთა დასაქმებას.

ასევე სასურველია აღნიშნული საწარმოს მშენებლობით დაინტერესდეს ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის დირექცია და მისი გამოცდილი კოლექტივი, რომელიც ბორჯომშივე სასმელ წყალს „ბაკურიანს“ და სოფელ ყვიბისის ჭაბურღილიდან ბორჯომის მინერალურ წყალს ასხამს. №2 ჩამომსხმელ ქარხანამდე ახალდაბა 10 კილომეტრამდე მანძილია და თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით ახალი საწარმოს გამართვასაც შეძლებს და კვალიფიციურად კიდეც უპატრონებს.

აღნიშნულ მოსაზრებაზე გვიბიძგა შემდეგმა გარემოებამ. ახალდაბის რკინიგზის სადგურის სიახლოვეს, 100 მეტრის მოშორებით, ლიანდაგების გასწვრივ, ყოფილი ინტერნატის გაუქმებულ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები დემონტირებულია და ნაკვეთი მთლიანად სამშენებლო ნარჩენებითაა მოფენილი. (მისი საკადასტრო კიდია 14,21.02.002).

ტერიტორიის ფართობი 41625 კვადრატული მეტრია. ამჟამად მისი მფლობელია მარნეულელი მოქალაქე აბილას მურადოვი. ჩვენთვის გაურკვეველია, რა დანიშნულებით აპირებს ნაკვეთის გამოყენებას! წლები გადის, ყოველწლიურად მიტოვებული ტერიტორია ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან ნარჩენებით იფარება, როდემდის უნდა იყოს ნაკვეთი თავისუფალი, მოუწესრიგებელი და აუთვისებელი.

აღნიშნული ნაკვეთი სასმელი წყლის ჩამომსხმელ საწარმოს მშენებლობისათვის გამოსაყენებლად ყურადღებას იქცევს ორი მიზეზით. საქართველოს მოქალაქე, ბატონი აბილარი ეროვნებით აზერბაიჯანელია. აზერბაიჯანში სასმელი წყლის დეფიციტია. მისი დედაქალაქი ბაქო და სხვა ქალაქებიც საქართველოდან გაყვანილი წყალსადენის ქსელით მარაგდებიან. იქნებ ჩვენი იდეა ბატონმა აბილასმაც გაიზიაროს და ინვესტორი მისი ხელშეწყობით მასთან ერთად აზერბაიჯანიდან მოგვევლინოს.

ახალდაბაში გამავალი რკინიგზისა და სადგურის სიახლოვით ხელი შეეწყობა საწარმოში რკინიგზის ჩიხის შეყვანას, პროდუქციის ვაგონებში მზა პროდუქციის ჩატვირთვასა და დანიშნულებისამებრ მომხმარებლისაკენ ტრანსპორტირებას.

ასევე აღვნიშნავთ, რომ ქალაქ მცხეთის სიახლოვეს ჩემი აქტიური მონაწილეობით თხუთმეტიოდე წლის წინ დაპროექტდა და უკვე აშენდა კიდევაც სასმელი წყლის ჩამომსხმელი საწარმო. აღნიშნული საწარმო ამჟამად წარმატებით საქმიანობს, მისი პრდუქცია პოპულარობით სარგებლობს ჩვენთანაც და უცხოეთის ქვეყნებშიც. ამრიგად, ჩემს მეგობარ-სპეციალისტებთან ერთად ასეთი საწარმოს დაპროექტებისა და მშენებლობის გარკვეული გამოცდილებაც გაგვაჩნია. ცხადია, ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის საინჟინრო პერსონალთან ერთად ძნელი არაა თანამედროვე მოთხოვნილებების დონეზე (თუ დირექცია მონდომებს) ბორჯომის მუნიციპალიტეტში წარსადგენად უსასყიდლოდ შევადგენდით ბიზნეს-გეგმასაც.

**რევაზ მახვილაძე,**
**ახალდაბის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის სახელით**
**საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მშენებლობის ექსპერტი**

# ახალდაბის სამკურნალო ფასეულობათა რაციონალურად გამოყენებისათვის

**ახალდაბა,** როგორც საკურორტო ადგილი, ცნობილია უხსოვარი დროიდან. აქ რამდენიმე ათეული აგარაკია, წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა პიონერთა ბანაკები, სასტუმრო-სახლები და სანატორიუმის ტიპის სკოლა-ინტერნატი, ზაფხულობით საბავშვო ბაღის მოზარდები ჩამოყავდათ დასასვენებლად და ჰაერის გამოსაცვლელად.

ახალ;დაბა მიეკუთვნება დაბალი მთის (ზღვის დონიდან (500-1000მ) კურორტებს. დაბალი მთის კლიმატი გარდამავალია ბარისა და მთის კლიმატს შორის. ამ პირობებში წარმატებით მკურნალობენ ბავშვებსა და მოხუცებს, გულისა და არატუბერკულოზური ფორმის ფილტვების ქრონიკულ დაავადებებს.

დაბალი მთის კურორტების უმრავლესობა შერეული ტიპისაა, ხელსაყრელ კლიმატთან ერთად არის მინერალური წყლების საბადოები, არც ახალდაბა წარმოადგენს გამონაკლისს. მდინარე ნეძურის ხეობაში მინერალურ წყლებთან ერთად არის ცხელი გოგირდოვანი წყალი, რომელიც გამოიყენება ჰიგიენური დანიშნულებით. შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობის პირობებში შესაძლებელია გოგირდის წყლის გამოყენება საუკეთესო შედეგების მისაღწევად. შედეგი კიდევ გაუმჯობესდება თუ კომბინირებულ მკურნალობაში ჩავრთავთ ისეთ ფიზიოთერაპიულ მეთოდებს, როგორიცაა მაგნიტოთერაპია და ლაზეროთერაპია. აღნიშნული კომბინირებული მკურნალობა წარმატებით გამოიყენება ხერხემლის, ძვალსახსროვანი სისტემის, კანის, პერიფერიული ნერვული სისტემის, ზოგიერთი ენდოკრინულ და ქალური დაავადებების მკურნალობაში. ამ დაავადებათა მკურნალობის მიზნით ამჟამად მოსახლეობა აქტიურად იყენებს არასტეროიდულ პრეპარატებს, ხშირად ერთმანეთის არევით, ან სარგებლობენ ინტერნეტში მოძიებული რჩევებით.

მინდა აღვნიშნო, რომ არასტეროიდული პრეპარატების ხანგრძლივი გამოყენება იწვევს კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებების წარმოშობას, ქრონიკულად მიმდინარე დაავადებათა გამოწვევებს და რაც ყველაზე საშიშია - კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენებს. ასეთი სისხლდენები ძნელად ექვემდებარება სტანდარტულ მკურნალობას, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სეზონური გამწვავების პერიოდში (გაზაფხული, შემოდგომა), ამიტომ ასეთი დაავადებების მკურნალობის დროს აუცილებელია სპეციალისტის ჩართვა.

მიზანშეწონილად ვთვლი რეაბილიტაციური პროგრამის შექმნას, პაციენტის მდგომარეობის გადატანილი და



ქრონოკულად მიმდინარე დაავადების გათვალისწინებით.

ჩემი და ჩემი კოლეგების მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება, თეორიული ცოდნა იმედს გვიტოვებს, რომ შესაბამისი ტერიტორიის გამოყოფის შემთხვევაში სპონსორები დაინტერესდებიან ახალდაბაში სანატორიუმის ტიპის ბალნეოლოგიური კურიორტის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ადგილობრივი, არამედ ჩვენი და მსოფლიოს სხვა რეგიონებიდანაც სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანების გაჯანსაღებას.

**ტარიელ ფუტკარაძე,**
**მედიცინის დოქტორი.**

## აქტუალური თემა

„**რამდენიმე** წუთის წინ ბავშვის განწირული კივილის ხმა შემომესმა ქუჩიდან. ვერ მივხვდი რა მოხდა. ჯერ ფანჯრიდან გავიხედე, ვერავინ დავინახე, მერე აივანზე გავედი და ვხედავ, რომ მეზობელ კორპუსში, ქალბატონს, რომელიც ძიძად მუშაობს უკვე წლებია, სწორედ მას მოჰყავს ფაქტიურად, ისტერიკაში ჩავარდნილი პატარა, დაახლოებით 3-4 წლამდე ასაკის ბიჭი. როგორც ჩანს, ბინასთან მოუყვანეს და დაუტოვეს. გეფიცებით, ახლა ამ ყველაფერს ტირილით ვწერ. მე არ ვიცი, ვინ არის მისი დედა, ან სად მუშაობს და რამდენად დიდი შემოსავალი აქვს. უბრალოდ, მეც სამი შვილის დედა ვარ და ვერ აღვწერ რა დამემართა. ღირს ამ ანგელოზის ცრემლები და შერყეული ფსიქიკა ამ ყველაფრის ფასად? ნეტავ ყველა დედას ჰქონდეს შვილის გვერდით ყოფნის საშუალება“ - აღნიშნული ტექსტი მე მეკუთვნის, რომელიც რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში საკუთარი ფეისბუქის გვერდზე განვათავსე და დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

# ძიძა - მოდა თუ აუცილებლობა?!



ტექსტის გამოქვეყნების წუთიდან უამრავმა ადამიანმა დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და რამდენიმე ისეთი აგრესიით დაწერილი ტექსტი შემხვდა, სიმართლე გითხრათ, თავი დამნაშავედ ვიგრძენი, მეგონა გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი და მართლა ვიღაცას მივაყენე ამით შეურაცხყოფა. საბედნიეროდ, საღამოს კი კონკრეტულად პატარა ბიჭის, ანუ ჩემ ტექსტში ნახსენები ადრესატის დედამ თვითონ მომწერა, რომელიც ჩემი ძალიან კარგი ნაცნობი აღმოჩნდა, ვისაუბრეთ და ნამდვილად სხვა გამოსავალი არ აქვს მას და ამიტომაც უწევდა ძიძასთან ბავშვის დატოვება და არც ჩემი პოსტი არ მიუღია მას პირად შეურაცხყოფად. ისიც მითხრა, რომ ძიძას ისე ენდობა, როგორც საკუთარ ოჯახის წევრს. მოკლედ, ჩემ ტექსტზე თანდართულ კომენტარებს აღნიშნულმა ძიძამაც ცოტა არ იყოს დიდი გულისწყრომით უპასუხა, თუმცა მე პირადად იმის მოტივაცია მომცა, რომ არსებულ საკითხს, რაც ასე ფართოდაა ქვეყანაში და თითქოს მოდად და აუცილებლობადაც კი იქცა ძიძის ყოლა ბავშვისთვის, უფრო მეტად სიღრმისეულად ჩავძიებოდი საკითხს და კომპეტენტური ადამიანებისაგან მიმეღო ობიექტური პასუხები. იქიდან გამომდინარე, რომ ძიძების დასაქმების სააგენტო ბორჯომის რაიონში კი არა, რეგიონშიც კი არ არსებობს, გადავწყვიტე, სოციალურ ქსელში მომეძებნა ერთ-ერთი ცნობილი ძიძების სააგენტო და სწორედ აღნიშნული სააგენტოს ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ძიძას გავსაუბრებოდი და მას რეალურად ესაუბრა იმ ძირითად კრიტერიუმებსა და მოთხოვნებზე, რასაც მათ სააგენტოში მისულ ძიძის პოზიციაზე მომუშავე პიროვნებას სთხოვენ და თქვენც მკითხველებიც მიხვდებით რეალურად რამდენად დიდ ნდობასთან გვაქვს რაიონებში მცხოვრებ დედებს იმ ძიძების მიმართ, ვისაც შვილის აღზრდას ვანდობთ. იქიდან გამომდინარე, რომ სააგენტოს ძიძამ არ ისურვა საკუთარი თავის რეალურად იდენტიფიცირება, მას პირობითად ნინოთი მოვიხსენიებ და დაგანახებთ იმ სინამდვილეს, რისი გადატანა და გაძლებაც თვითონ ძიძებს უწევთ სხვისი შვილის დატოვების ხარჯზე.

ნინო მიყვება, რომ დაახლოებით 10 წლის მანძილზე ერთ-ერთ რაიონში მუშაობდა საბავშვო ბაღში აღმზრდელად და განათლებითაც სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი გახლავთ, თუმცა, როდესაც შვილი სტუდენტი გახდა, იძულებული გახდა, რომ მასაც დიდ ქალაქში მოეძებნა სამსახური. სოციალურ ქსელში ნახა ინფორმაცია, რომ იქმნებოდა ძიძების სააგენტო, სადაც ძირითად მოთხოვნილებად პედაგოგიურ განათლებას ითხოვდნენ და პლიუს ამ სფეროში გამოცდილებასაც. არც უფიქრია, სივი გადააგზავნა და პასუხს დაელოდა. მალევე დადებით პასუხზე დაურეკეს და აგერ უკვე 10 წელზე მეტია ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძიძების სააგენტოს წევრი გახლავთ. რამდენად განსხვავდება მათ სააგენტოში მომუშავე ძიძების მუშაობის სპეციფიკა რაიონში მომუშავე ძიძების სამსახურის სპეციფიკისაგან, ნინომ ასეთი რამ მითხრა. მათ სააგენტოში პირველ რიგში იმ ძირითად გამოცდილებასა და მოთხოვნების შესახებ, რაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ძიძის პოზიციაზე მომუშავე პიროვნებას. პირველ რიგში საჭიროა, პედაგოგიური განათლება, სასურველია ფსიქოლოგის განათლება, ბავშვებთან მუშაობის მინიმუმ 3-4 ან მაქსიმუმ 10 და მეტი წლის გამოცდილება, სამედიცინო განათლება, თუმცა აღნიშნული განათლების არ ქონის შემთხვევაში გავლილი ჰქონდესპირველადი დახმარების კურსი, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს. მშობლიური ენის გარდა სასურველია ფლობდეს დამატებით ორ ან სამ უცხო ენას, რათა ბავშვთან დამატებით შეეძლოს უცხო ენაზე კომუნიკაცია. ეს ის ძირითადი მოთხოვნებია, რომელსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ძიძის პოზიციაზე მომუშავე კანდიდატი, რომელიც კონკრეტულად მათ სააგენტოსა და თბილისში რეგისტრირებულ სააგენტოებში მუშაობენ. ნინო მიყვება, რომ რამდენიმე რაიონში ჰყავს ნაცნობები, რომლებიც ძიძად მუშაობენ და როდესაც მათთან ჰქონდა საუბარი აღნიშნულ საკითხზე, თუ როგორ შეარჩიეს იმ ოჯახებმა, მათ აღნიშნეს, რომ ოჯახს აინტერესებდა, მხოლოდ, ჰქონდათ თუ არა პედაგოგის განათლება და ასევე ძიძად მუშაობის გამოცდილება. სხვა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები და კრიტერიუმები კი ფაქტიურად, არც კი იყო ნახსენები და რაც მთავარია, უპირველესია ნდობა, რომელსაც ოჯახი უცხადებს ძიძას, ადამიანს, რომელსაც შვილის აღზრდას ანდობს. სამწუხაროდ, მშობლებს ამ კონკრეტული ფაქტების გათვალისწეინებით, რასაც ხშირად რაიონებში მომუშავე ძიძებთან ვხვდებით, მშობლებს არ აქვთ გაცნობიერებული, რომ მხოლოდ ნდობა არ არის საკმარისი, როდესაც ძიძასთან ტოვებ შვილს, პირველ რიგში ყველა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთნაირი არ არის და აქედან გამომდინარე, ოჯახში მომუშავე ძიძა მზად უნდა იყოს გარკვეული სახის სიტუაცებისათვის. ნინომ გაიხსენა ერთი ამბავი, რომელიც მათ სააგენტოში მომუშავე ძიძას შეემთხვა. ბავშვს, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა შაქრის დონემ აუწია ორგანიზმში და ნემსის გაკეთება გახდა საჭირო ძიძის მხრიდან, ასევე ერთ-ერთ ძიძასთან ბავშვმა ძაღლთან თამაშისას ეზოში ფეხი მოიტეხა და სასწრაფოს მოსვლამდე მან ჩაუტარა პირველადი დახმარება. ნინო ამბობს, რომ მათი საქმიანობა საკმაოდ დიდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას მოითხოვს, რადგანაც რთულია, როდესაც დილიდან საღამომდე გიწევს სხვისი შვილის გვერდით ყოფნა და თუკი პირველ რიგში ბავშვი არ გიყვარს და ის საქმე რასაც აკეთებ, არაფერი გამოვა. ამიტომაც, საუბარი იმაზე, რომ იცით, მე ძიძას ისე ვენდობი, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს, ეს ნამდვილად გაუცნობიერებლად წარმოთქმული სიტყვებია, წლების მანძილზე მიღებული გამოცდილებით, დადგინდა, რომ სწორედ ზემოთ აღნიშნულ ყველა კრიტერიუმსა და მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს ძიძად მომუშავე პიროვნება. ნინოს ნაამბობის შემდეგ კი ალბათ ბევრს აღარც გაუჩნდება პროტესტის შეგრძნება და მიხვდებიან, რომ, ძალიან დიდი დაფიქრებააა საჭირო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მარტივად არ უნდა ჩააბარო საკუთარი შვილი სხვა ადამიანს, რომელიც ხშირად ნაცნობია ან სულაც უცნობი, თუმცა სხვისი გადმოცემით იცით, რომ სხვისი შვილი „კარგად გაზარდა“ და შენს რატომ ავნებს რაიმეს?

სამწუხაროდ, არსებობს მთელი რიგი დაავადებებიც, რომლის დროსაც ბავშვს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ოჯახის წევრებთან მუდმივი კონტაქტი სჭირდებათ და კატეგორიულად ეკრძალებათ უცხო პირთან ურთიერთობა, თუნდაც ძიძასთან, რომელიც უცხო ადამიანია მისთვის. მაგალთად, გენეტიკური დაავადებები, რომელთა შესახებაც ოჯახის წევრებმა იციან და ამ დროს ოჯახის წევრების მხრიდან მუდმივი მეთვალყურეობაა საჭირო, ასევე შშმ ბავშვები, აუტიზმის მქონე ბავშვები და ა.შ. აღნიშნული დაავადებების დროს ოჯახთან მჭიდრო კონტაქტი და მათთან ყოველდღიოური ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია.

**P.S. დასასრულს კი მხოლოდ ერთს ვიტყოდი, რომ სამწუხაროდ ჩვენ რეალობაში, ძიძის ყოლა თითქოს მოდაში შემოვიდა, ისევე როგორც ბევრი რამ ჩვენ გარშემო და კარგი იქნება, თუკი დედები გაიაზრებენ ერთ ჭეშმარიტებას, რომ ძიძის ყოლა გამოუვალი მდგომარეობიდან გარკვეული სახის გამოსავლის საშუალებაა და არა აუცილებლობა. ასე რომ, შვილებთან გვერდით ყოფნაზე კარგი რამ არ არსებობს ამქვეყნად. ყველა დედას მშვიდ ცხოვრებას ვუსურვებ შვილებთან ერთად.**

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

## პოეზიის კუთხე

# დედა ეუბნება შვილსა

დავბერდი და შემინახე,
დედა ეუბნევა შვილსა,
დავსნეულდი, დავუძლურდი
ფეხზე ვდგევარ შვილო ძლივსღა.
მანამ ვიყავი კარგადა,
მუდამ ვიყავი მაგრადა,
არც მცხელოდა, არც მციოდა,
არც მწყუროდა, არც მშიოდა.
ვენაცვალე მაღალ ღმერთსა,
თაყვანს ვცემდი ყველა ერსა,
მიჭირდა თუ არ მიჭირდა
არვის ვთხოვდი არაფერსა.
გშობე, გაგზარდე, აღგზარდე,
გამოგიყვანე ხალხშია,
აღარაფერი გეშლება
არც სახლში და არც კარშია.
აწი გთხოვ, როგორც დედა შვილს,
მეც ეს საქმე მომიგვარე,
მანამ ვცოცხლობ და ვიცოცხლებ
უძლურ დედას მომიარე.
ნუ დამტოვებ უპატრონოდ,
ნუ მაღვრევინებ ცრემლებსა,
უშენობას ვერ ავიტან,
ვერც ვენდობი სხვას შენს მტერსა.
სანამ ვცოცხლობ და ვარსებობ
მაცოცხლე შენი სითბოთი,
ყოველგვარი იმედითა,
დედაშვილური სიტკბოთი.
ნუ დამტოვებ სხვის ხელმყურეს,
შემიბრალე, შემიცოდე,
დედაც ამქვეყნად ერთია,
როგორც ღმერთი რომ იცოდე.
მაცოცხლე და მადღეგრძელე
ჩემ ოჯახში, ჩემ სახლშია,
მოვკვდები და დამიტირე
ღირსეულად ჩვენს ხალხშია.
უკვდავი არვინ არ არი,
არც ყოფილა, არც იქნება,
ვინც ამქვეყნად იბადება
დროთასვლაში ყველა კვდება.
ძნელი ყოფილა სიბერე,
ვით უმწეო ავადმყოფი,
მით უმეტეს უპატრონო,
მითუმეტეს მარტო მყოფი.
ხომ გაიგე ჩემი თხოვნა
ჩემო შვილო, ჩემო კარგო,
უმოწყალოდ არ დამტოვო,
რომ ოდესღაც არ იდარდო.

**გურამ ქუნცელი,**
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

# „შოთაი და იაი“



სოფელ ქვაბისხევში მდებარე წმინდა მარიამის მიძინების ეკლესია, ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძველესი ძეგლია, რომელიც VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზეა აშენებული. მონასტერს ასევე უწოდებენ ქვაბისხევის „ღვთისმშობელს“.

ეკლესიის მხატვრობა, თარიღება XII-XIII საუკუნეებით. მის ფრესკებს შორისაა მდიდრულად ჩაცმული ქალისა და მამაკაცის გამოსახულებანი, რომელთაც ასომთავრულით აწერია: „შოთაი და იაი“. ლეგენდის მიხედვით, მამაკაცი დიდი პოეტი შოთა რუსთაველია, ხოლო ქალი - დედამისია; ლეგენდა გვამცნობს, თითქოს შოთას დეიდა ქვაბისხევის ხეობაში ყოფილა გათხოვილი და შოთას განათლება აქ მიუღია.

# განცხადება

**ძვირფასო პირველკურსელებო!**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტი 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტებს დააჯილდოებს.**

**ფულად ჯილდოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულები მიიღებენ.**

**დაინტერესებულმა პირებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

- განცხადება;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (სამოქალაქო რეესტრი);
- ცნობა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ;
- საბანკო ანგარიშის ნომერი.

## ისტორიის ლაბირინთებში

# „...გადასწონიდა მთელ ირანს თურმე...“

**რაც გინდა თქვით და იმდენს „ვატრიალებთ თავს აქეთ-იქიეთ, ოღონდ უცხოეთიდან და უცხოელებისგან რამე გადმოვიღოთ და ჩვენს ნიადაგზე როგორმე გავახაროთ“, რომ საკუთარი აღარ გვახსოვს ხეირიანად, მით უმეტეს ფესვები.**

ამის დასტურად, ჩვენი სასიქადულო მეცნიერ-ირანისტის პოეტის, ნომადი ბართაიას 02.XI.2022 წლით დათარიღებული ერთი ფეისბუკ-პოსტი გვინდა შემოგთავაზოთ.



**„ირანში სასამართლოზე ბრალდებული თუ ერთ ფერეიდნელს მოიყვანდა მოწმედ თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, თურმე დავა მოგებული ჰქონდა“.** ეს რა ყოფილხარ, ქართველო კაცო, რატომ აქამდე არ ვიცოდი? თურმე მეგონა, გიცნობდი შენ და, აქამდე არ გიცნობდი! აი, კაცობაც ასეთი უნდა, თავი სიზმარში ახლა მგონია, ეს რა სიმდიდრე მოგვიხვეჭია, ეს რა სახელი თურმე გვქონია!

**„რით გაგახაროთ მკითხველო ჩემო,**
**რა უნდა გითხრათ ამაზე მეტი?**
**გადასწონიდა მთელ ირანს, თურმე**
**სასამართლოზე ქართველი ერთი“.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

# «სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024» საზეიმოდ გაიხსნა



**ბორჯომის** ცენტრალურ სტადიონზე „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024“ საზეიმოდ გაიხსნა.

მოსწავლეებმა მხიარულ სტარტებში მიიღეს მონაწილეობა, რის შემდეგაც ოლიმპიადა გახსნილად გამოცხადდა.

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024“ საქართველოს მასშტაბით გაიხსნა. თამაშები სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარდება - მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, გეზრბენი, მხიარული სტარტები, რომლებშიც მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ჩაერთვება.

გაიმართება შიდა სასკოლო, მუნიციპალური და რეგიონული თამაშები.

რეგიონულ თამაშში გამარჯვებული გუნდები საქართველოს პირველობაზე იბრძოლებენ, შემდგომ კი საერთაშორისო შეჯიბრში იასპარეზებენ.

სასკოლო ოლიმპიადის გახსნას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი **შალვა გოგოლაძე,** სასპორტო სკოლის დირექტორი **ელიზბარ სტეფნაძე,** საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **იზოლდა ლომიძე,** კულტურის განყოფილების სპორტის სპეციალისტი **თამთა ლამბრიანიძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურისა, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდებთან ურთიერთობის განყოფილებ-ის და სასპორტო სკოლის მხარდაჭერით მოეწყო.

## ჭადრაკი

# თეა ფესტივალის ჩემპიონია!



**როგორც** ჩვენი გაზეთით ვიუწყებოდით, ბორჯომის სპორტსკოლის და №1 საჯარო სკოლის მეხუთეკლასელმა **თეა რუსიტაშვილმა** ამ ზაფხულს ფოთში გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. მაშინ მან ორ პარტიაში დასანანი შეცდომები დაუშვა და 9-დან 7 ქულა მოაგროვა. ამჯერად ახალციხის საჭადრაკო რესპუბლიკურ ფესტივალზე თეამ სტაბილურად ითამაშა და შეცდომები აღარ დაუშვია. ეს ფესტივალი 6,7,8 ოქტომბერს გაიმართა ახალციხეში. მასში მონაწილეობდნენ როგორც 8,10,12,14 და 16 წლის ნორჩი მოჭადრაკეები, ისე მაღალი ასაკის (სინიორები) მოჭადრაკეები.

თეამ 10 წლის ასაკში 7-დან 6 პარტია მოიგო და მხოლოდ ერთი ყაიმით დაამთავრა თანაქალაქელ **ბარბარე შონიასთან.** ახალციხეში უკვე ბარბარემ ერთ პარტიაში უყურადღებოდ ითამაშა და ქუთაისელ თანატოლთან დამარცხდა. სხვა პარტიები ყველა მოიგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. **ელენე შონია** რვალწლიანებში მეოთხე იყო.

16 წლის ასაკში წარმატებას მიაღწია ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა **გიორგი მესხმა.** ისევე როგორც შარშან, ამ ასაკში უძლიერესი იყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. გიორგიმ ითამაშა ე.წ. სენიორებში (მაღალი ასაკის მოჭადრაკეებთან) და 21 მონაწილეს შორის მეხუთე ადგილი დაიკავა.

თეა რუსიტაშვილს გადაეცა გამარჯვებულის თასი, ფულადი პრიზი, მედალი და სიგელი. დანარჩენებმაც ფულად პრიზებთან ერთად მედლები და სიგელები.

ფესტივალი დააფინანსა ახალციხის მერიამ.

**უშანგი ჯანგირაშვილი,**
მწვრთნელი.

# ვალოდია ლურსმანაშვილის გახსენება



**წუთისოფლის ამაოება თუ მარადიულობა?**
**მე მარადიულობას ვამჯობინებდი.**

**გამიგია, ადამიანი იმისთვის ცხოვრობს, რომ კარგი სახელი დატოვოს ამ ხანმოკლე წუთისოფელშიო.**

**ცხოვრების გზაკვალზე ერთმა კარგმა ადამიანმა, სწორედ რომ სიკეთის კვალი დატოვა, დატოვა წარუშლელი კვალი ნაცნობების გულებში, მას ერქვა - ვალოდია (ვალო)...**

**იგი იყო კარგი შვილი, კარგი ძმა და საუკეთესო ბიძა მთელ სამყაროში და მე მჯერა, რომ იგი იცოცხლებს მარადიულად თითოეული ჩვენგანის გულებში.**

**გილოცავთ დაბადების დღეს იმქვეყნად ჩემო საუკეთესო ბიძავ!..**

**მარიამ ტაბატაძე**



**შვილი მარინა პეტროსიანი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**
**ნატაშა პეტროსიანი**
**დაიკრძალა ბაკურიანში, 7 ოქტომბერს.**

---

**გაზეთ „ბორჯომის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა პეტროსიანს დედის**
**ნატაშა პეტროსიანის**
**გარდაცვალების გამო.**

---

**ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის მრავალრიცხოვანი მრევლი მამა გერასიმეს წინამძღოლობით თანაგრძნობას უცხადებენ ლენა ხარატიშვილს დის გარდაცვალების გამო.**

---

**ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გერასიმე და მრავალრიცხოვანი მრევლი თანაგრძნობას უცხადებენ თამარ გელაშვილს მეუღლის**
**ვეფხია (ტიპო) გელაშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

---

**ნოდარ მაღრაძე ოჯახით იუწყება მოყვრის**
**ვეფხია გელაშვილის**
**გარდაცვალებას და უთანაგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.**